მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 24 ოქტომბერი, 1943 წ. № 222 (6847). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ფოღბუხინს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა მრავალი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა, მძიმე ზარალი მიაყენეს მას და დღეს, 23 ოქტომბერს, მთლიანად დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **მელიტოპოლი**—სამხრეთის მიმართულებით გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კვანძი, რომელიც ჰკეტავდა ყირიმისა და დნეპრის ქვემოწელის მისადგომებს.

ამრიგად, გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი ზოლი მდინარე **მოლოჩნაიას** ზღუდეზე, უფრო ძლიერი, ვიდრე გერმანელთა თავდაცვა, რომელიც მათ მდინარე **მიუსზე** ჰქონდათ, როგორც ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებებით თავისი საინჟინრო მოწყობის, ისე ქვეითი ჯარით, არტილერიითა და ტანკებით აღჭურვის სიმჭიდროვის მხრივ, გარღვეული აღმოჩნდა გადამწყვეტ უბანზე.

ქალაქ **მელიტოპოლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **კრეიზერის**, გენერალ-ლეიტენანტ **კოლომეიცევის** ჯარებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ხრიუკინის** მფრინავებმა და არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **კრასნოკაზეცევის** არტილერისტებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ **პაშკოვის** 91-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **კაზარცევის** გორლოვკის 126-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **კუროპატენკოს** 315-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **სიზრანოვის** ტაგანროგის 416-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **დოგროვოლსკის** 118-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **იუხიმჩუკის** 347-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **პეტრიუკის** 116-ე გამაგრებულმა რაიონმა, პოლკოვნიკ **ჩუმაჩენკოს** 206-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **კორიაგინის** 265-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **სიტკინის** მე-8 ცალკეულმა შორმზვერავმა საავიაციო პოლკმა, მაიორ **სემიონოვის** გვარდიის 76-ე მოიერიშე საავიაციო პოლკმა, ავიაციის გენერალ-მაიორ **ტოკარევის** სტალინგრადის გვარდიის 1-ლმა მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **გორბუნოვის** მე-8 გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **სოგოლკინის** 1105-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ვედუტის** გვარდიის 204-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **კაზაჩკოვის** 101-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **კოსტოგლოტის** 125-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ **ვლასენკოს** გვარდიის 67-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ბარაბაშის** გვარდიის 22-ე ცალკეულმა სატანკო პოლკმა, პოლკოვნიკ **პავლოვის** მე-12 საინჟინრო მოიერიშე ბრიგადამ, კაპიტან **როსტოვცევის** 121-ე ცალკეულმა საინჟინრო ბატალიონმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **მელიტოპოლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**მელიტოპოლის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

მელიტოპოლის 91-ე მსროლელი დივიზია,
მელიტოპოლის 315-ე მსროლელი დივიზია,
მელიტოპოლის 118-ე მსროლელი დივიზია,
მელიტოპოლის 347-ე მსროლელი დივიზია,
მელიტოპოლის 116-ე გამაგრებული რაიონი,
მელიტოპოლის 206-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია,
მელიტოპოლის 265-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
მელიტოპოლის მე-8 ცალკეული შორმზვერავი საავიაციო პოლკი,
მელიტოპოლის გვარდიის 76-ე მოიერიშე საავიაციო პოლკი,
მელიტოპოლის მე-8 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა,
მელიტოპოლის 1105-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
მელიტოპოლის გვარდიის 204-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკი,
მელიტოპოლის 101-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
მელიტოპოლის 125-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
მელიტოპოლის გვარდიის 67-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
მელიტოპოლის გვარდიის ცალკეული 22-ე სატანკო პოლკი,
მელიტოპოლის მე-12 საინჟინრო მოიერიშე ბრიგადა,
მელიტოპოლის 121-ე ცალკეული საინჟინრო ბატალიონი.

გორლოვკის 126-ე მსროლელი დივიზია, ტაგანროგის 416-ე მსროლელი დივიზია, სტალინგრადის გვარდიის 1-ლი მოიერიშე საავიაციო დივიზია, რომლებმაც მეორედ გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **წითელი დროშის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბრძოლებში გერმანელთა გამაგრებული ზოლის გარღვევისას და ქალაქ **მელიტოპოლის** განთავისუფლებისას, წარდგენილ იქნან უმაღლეს ჯილდოზე—**საბჭოთა კავშირის გმირის** წოდების მისანიჭებლად.

დღეს, 23 ოქტომბერს, 22 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც ქალაქი **მელიტოპოლი** გაათავისუფლეს.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **მელიტოპოლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი И. სტალინი

1943 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

პოლკოვნიკ **ფედოროვსკის** 303-ე მსროლელ დივიზიას, გენერალ-მაიორ **დენისენკოს** გვარდიის 306-ე მსროლელ დივიზიას, პოდპოლკოვნიკ **კოტენკოს** 1008-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს და პოდპოლკოვნიკ **ჩერენკოვის** 523-ე ნაღმმტყორცნელ პოლკს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ და რკინიგზის სადგურ **ვერხნედნეპროვსკის** დაკავებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**ვერხნედნეპროვსკის**“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ:

ვერხნედნეპროვსკის 303-ე მსროლელი დივიზია;
გვარდიის ვერხნედნეპროვსკის 306-ე მსროლელი დივიზია;
ვერხნედნეპროვსკის 1008-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი;
ვერხნედნეპროვსკის 523-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი И. სტალინი

1943 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებაღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 416-ე ტაგანროგის 126-ე მსროლელი დივიზიის, ტაგანროგის 416-ე მსროლელი დივიზიისა და გვარდიის სტალინგრადის 1-ლი მოიერიშე ავიადივიზიის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი დროშის ორდენით

გორლოვკის 126-ე მსროლელი დივიზია;
ტაგანროგის 416-ე მსროლელი დივიზია;
გვარდიის სტალინგრადის 1-ლი მოიერიშე საავიაციო დივიზია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 23 ოქტომბერი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვიქტორ ზაქარიას-ძე **ლებედევი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან.

საკადესი უარკყოფს

რეიტერის სააგენტოს ქენეველმა კორესპონდენტმა გადასცა ცნობა, რომლის თანახმადაც ამას წინათ ბალკანეთის ყველა ქვეყანაში თითქოს ჩამოშვებულ იქნენ საბჭოთა პარაშუტისტები იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ, თუ როგორ გამოეხმაურა ამ ქვეყნების მოსახლეობა „პან-სლავური ბლოკის შექმნას“.

საკადესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ მტკიცება ბალკანეთში საბჭოთა პარაშუტისტების გადასხმის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
23 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა მრავალი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 23 ოქტომბერს სავსებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **მელიტოპოლი**, მტრის თავდაცვის უმნიშვნელოვანესი და ძლიერ გამაგრებული კვანძი სამხრეთის მიმართულებით. გერმანელები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ქალაქ მელიტოპოლის და მდინარე მოლოჩნაიაზე არსებული თავდაცვის ზღუდის შენარჩუნებას, როგორც უკანასკნელი პოზიციისას, რომელიც ხურავდა ყირიმის და მდინარე დნეპრის ქვემოწელის მისადგომებს. ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ ოფიცრები ფრონტის ამ უბანზე სამმაგ ჯამაგირს ილებდნენ, ხოლო ყველა ჯარისკაცს რკინის ჯვრით აჯილდოებდნენ. ამრიგად, გერმანელთა ეს ძლავრი თავდაცვითი ზღუდე გარღვეული აღმოჩნდა გადამწყვეტ უბანზე.

ქალაქ **კრემენჩუგის** სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პუშკარევკა, ვერხოვცევო.**

ქალაქ **პერეიასლავ-ხმელნიცკის** სამხრეთით ჩვენი ჯარები, იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე და გაიუმჯობესეს პოზიციები.

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე და ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს რამდენიმე კილომეტრით.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

22 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს **გერმანელთა 138 ტანკი.** საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ამოგდებულია **მოწინააღმდეგის 74** თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს **მტრის** გააფთრებული წინააღმდეგობა და დღეს სავსებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური მელიტოპოლი. ამ გამარჯვების შედეგად ხელთ ვიგდეთ გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი და ძლიერ გამაგრებული კვანძი, რომელიც ხურავდა ყირიმის და დნეპრის ქვემოწელის მისადგომებს. მტერმა მდინარე მოლოჩნაიაზე მძლავრი თავდაცვითი ზოლი შეჰქმნა და არაერთარ ზარალს არ ერიდებოდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, ცდილობდა რა შეენარჩუნებინა ამ ხაზის გადამწყვეტი უბანი—ქალაქი მელიტოპოლი. არსებული ძალების დამატებით მდინარე მოლოჩნაიას ზღუდეზე გერმანელებმა ყირიმიდან და ფრონტის სხვა უბნებიდან გადაიყვანეს რამდენიმე ქვეითი დივიზია, მრავალი ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და არტილერია. ჩვენმა ჯარებმა მრავალი დღის და შეუპოვარი ბრძოლების შედეგად გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და გარეკეს გერმანელები მელიტოპოლიდან. ამ ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგის განსაკუთრებით მძიმე ზარალი მოუვიდა. მარტო დღეგანდელი დღის განმავლობაში მელიტოპოლის ჩრდილოეთ ნაწილში მოსპობილია 4 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ავრეთვე დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 57 ტანკი და 18 თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა და ტყვედ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასეული ჰიტლერელი. მელიტოპოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.

დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს და მტრის ერთ-ერთ აეროდრომზე მოსპეს გერმანელთა 28 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ **კრემენჩუგის** სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის დიდი ძალების წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ წინსვლას და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების არაერთ კონტრიერიშს წარმატება არა ჰქონია. დღის განმავლობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ნ ნაწილმა სამი მხრიდან მიიტანა იერიში გერმანელებზე, რომელნიც ძლიერ გამაგრებულ დასახლებულ პუნქტს იცავდნენ. გააფთრებული წელჩართული შეტაკების შემდეგ ჩვენმა მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი, მოსპეს 17 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე სარტილერიო ბატარია, საწყობები საომარ მასალიანად, საინჟინრო ქონებიანად და მარცვლეულიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ **პერეიასლავ-ხმელნიცკის** სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და პოზიციები გაიუმჯობესეს. მოწინააღმდეგემ კონტრიერიშებზე გამოიყვანა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. უნაყოფო კონტრიერიშებში გერმანელებმა 1.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით. ერთ უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა, რომელნიც მტრის კონტრიერიშებს იგერიებდნენ, დაზიანეს და დასწვეს გერმანელთა 26 ტანკი. სხვა უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს მტრის 7 ტანკი და ხელთ იგდეს 12 ქვემეხი და საომარი მასალის საწყობი.

ჩვენმა მფრინავებმა, რომელნიც ხელს უწყობდნენ სახმელეთო ჯარების მოქმედებას, საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს და მტრის ერთ-ერთ აეროდრომზე მოსპეს გერმანელთა 31 თვითმფრინავი.

* * *

რეჩიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში. მოწინააღმდეგემ არა ერთხელ გადმოიყვანა კონტრიერიშებზე ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი და ათობით ტანკი. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიშები და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. გაულეტილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარია 11 ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ 16 ქვემეხი, 60 ტყვიამფრქვევი და ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

18 ოქტომბერს ესტონელთა პარტიზანულმა რაზმმა გაბედული თავდასხმა მოაწყო რკინიგზის სადგურზე. ამ დროს სადგურზე ვაგონებში სხამდნენ გერმანელთა სამარშო ქვეგანაყოფის ჯარისკაცებს. საბჭოთა პატრიოტებმა 90 ჰიტლერელი გაულიტეს. დანარჩენი გერმანელი ჯარისკაცები გაიქცა მოიქცნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა რკინიგზის მცველთ, გაულიტა 24 ჰიტლერელი და მთელ რიგ ადგილებში ააფეთქა რკინიგზის ლინდგაგები.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა მე-6 ქვეითი დივიზიის ობერლეიტენანტმა კარლ ნ-მ განაცხადა: „ოფიცრები მეტად დანაღველიანებული არიან. ახლა გამოცდილ ოფიცრებსაც კი ისე ეშინიათ გარემოცვის, როგორც ცეცხლისა. საყოველთაო აზრი ის არის, რომ გერმანიის არმია მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ოფიცერთა მნიშვნელოვანი ჯგუფი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახლა აღარავითარი იმედი აღარ არის გერმანიის გამარჯვებისა. პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბეკერი ბრძანებებს სცემს, მაგრამ დისციპლინა დღითი-დღე ირყევა. ამ უკანასკნელ ხანს ოფიცრები ვიწრო წრეში ლანძღავენ და ყოველნაირად აგინებენ ჰიტლერს. ჩემი თანდასწრებით ერთმა ოფიცერმა ქარაფშუტა უწოდა ჰიტლერს, მეორემ—გიჟი. ერთმა უფროსმა ოფიცერმა განაცხადა, „ჰიტლერი არის დამნაშავე, რომელიც თავიდან ბოლო მოვიშოროთო“.

* * *

დნეპროპეტროვსკის ოლქის ხუტორ ცვეტკის მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედების შესახებ. აქტში ნათქვამია: „ოკუპაციის დროს გერმანელებმა ჩვენს ხუტორში სასტიკი რეჟიმი დაამყარეს. ისინი დასცინოდნენ მცხოვრებთ, ახრჩობდნენ მოსახლეობას აუტანელი გადასახადებით, დაუსრულებელი ჯარიმებით, პირტყვსა და ქონებას არბევდნენ გლეხებს. 23 სექტემბერს გერმანელებმა უბრძანეს ყველა მამაკაცს, დახვრეტის შიშით, შეკრებილიყვნენ სანგრებზე სამუშაოდ. სულ 24 კაცი გამოცხადდა. ჰიტლერელებმა მინდორში წაიყვანეს ისინი და ავტომატების სროლა აუტიხეს. შემდეგ ჰიტლერელმა არამზადებმა ერთ მწკრივად დაალაგეს დახვრეტილნი, წააყარეს ბზე და ცეცხლი წაუკიდეს. ხუტორიდან უკანდახევის წინადღეს გერმანელმა ბანდიტებმა დასწვეს კოლმეურნეთა ბევრი სახლი, თავლა, ორი მარცვალსაცავი და სხვა საკოლმეურნეო შენობები. ყველა ამ ბოროტმოქმედების პირველ მიზეზად და მთავარ ორგანიზატორებად მიგვიჩნია უბნის კომენდანტი ვილჰელმ ბრემერი, რაიონის კომენდანტი როსტში და ოლქის კომენდანტი კარლ ზომერსი. ისინი მკაცრად უნდა დაისაჯონ ჩადენილ დანაშაულთათვის“.

აქტს ხელს აწერენ ხუტორის მცხოვრებნი—ვერნიოლია, სტასოვსკი, ტარანი, სკოროხოდი, შალიმოვა, ჩიერედნიჩენკო, სუბოტოკოვი, სტერნიკი და სხვანი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი ანტონი იდენი

22 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ანტონი იდენი.

წაუბაძს დაესწრო დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი ქორდელ ჰელი

23 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი ქორდელ ჰელი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები რკინიგზის კვანძებზე ზნამენკასა, ფასტოვსა, დოლინსკაიასა, აპოსტოლოვოსა და ჯანკოიზე და სადგურ ნიკოპოლზე

22 ოქტომბერს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა სამხედრო ეშელონები და მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები რკინიგზის კვანძებზე ზნამენკასა, ფასტოვსა, დოლინსკაიასა (ქ. კიროვი როგის ჩრდილოდასავლეთით), აპოსტოლოვოსა (ქ. კიროვი როგის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და ჯანკოიში და სადგურ ნიკოპოლში. დაბომბვის შედეგად დამტვრეულია სულ ცოტა 8 სარკინიგზო შემადგენლობა. მრავალგან გაჩნდა ხანძარი. იწვოდა მოწინააღმდეგის საომარი მასალით, სამხედრო ტექნიკით, საწვავითა და სამხედრო ქონებით დატვირთული ვაგონები, პლატფორმები, ცისტერნები, ავრეთვე საწყობები. ხანძრებს თან სდევდა აფეთქებანი.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

მზრალად ხვნა და საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში
(საქმიწსახკომის 20 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	დათესილია საშემოდგომო მარცვლეული კულტურები პროცენტობით	რაიონები	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	დათესილია საშემოდგომო მარცვლეული კულტურები პროცენტობით
სამხრეთ ოს. ა. ო.	69,0	48,4	ბორჯომი	39,7	34,9
ქუთაისი	—	14,0	წალკა	54,9	—
სამტრედია	—	65,0	დუშეთი	35,8	92,7
ვანი	—	13,0	თეთრი წყარო	9,0	54,1
ჭიათურა	—	66,3	თიანეთი	91,5	76,7
საჩხერე	—	102,7	გურჯაანი	12,7	40,8
ორჯონიკიძე	—	108,3	სიღნაღი	—	40,0
ონი	—	85,8	წითელწყარო	2,9	53,1
ამბროლაური	—	47.0	თელავი	1,0	63,4
ცაგერი	—	76.4	ყვარელი	39,8	56,9
ახალქალაქი	78,3	127,4	ლაგოდეხი	2,8	52,4
ბოგდანოვკა	71,7	—	თბილისი	7,4	64,5
ახალციხე	73,4	63,0	მცხეთა	2,8	77,4
ადიგენი	95,4	60,0	ყარაია	—	38,8
ასპინძა	140,1	84,0	ბორჩალო	10,0	41,9
ხაშური	93,8	82,7	ბოლნისი	10,4	22,8
ქარელი	58,4	74,6	საგარეჯო	0,4	58,8
გორი	51,5	84,5	ბაშკიჩეთი	1,9	77,9
კასპი	33,8	63,7			

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო თიანეთის რაიონზე ცხრილში შეტანილია 15 ოქტომბრის მაჩვენებლები.

ფაღეევმ კოსტიუშკოს სახელობის პოლონელთა დივიზიის საბრძოლო მოქმედება

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო დღეს იუწყება ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონელთა დივიზიის საბრძოლო მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

გაზეთ „კრასნაია-ზვეზდაში“ დაბეჭდილია კაპიტან ვრუბლევსკის სტატია, რომელიც მოგვითხრობს პოლონელთა დივიზიის საბრძოლო ბანალობის შესახებ.

საარტილერიო კანონადის გრიალი მიწას აზანზარებდა. ყველა ყალიბის არტილერია ერტყამდა მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეს. შემდეგ საარტილერიო ქვემეხთა გრუხუნს შეუერთდა გვარდიის ნაღმსატყორცნთა ცეცხლი, რომელიც ამთავრებდა იერიშისათვის მზადებას.

პოლონელთა პირველი კორპუსის ნაწილები გენერალ-მაიორ ბერლინგის მეთაურობით შეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა სარდლობამ მათ დაუსახა ამოცანა—გაერღვიათ ერთ უბანზე მოწინააღმდეგის თავდაცვა, ხელთ ეგდოთ მნიშვნელოვანი თავდაცვითი ზღუდე.

შეტევაში მონაწილეობდნენ ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზიის ქვეითი ნაწილები და „ვესტერპლატეს გმირთა“ სახელობის ნაწილის სატანკო ქვეგანაყოფები.

პოლონელი ჯარისკაცები და ოფიცრები თავშეკავებული სიმკაცრითა და აუღელვებლობით ემზადებოდნენ ბრძოლისათვის. ჯერ კიდევ წინადღეს, როდესაც წაკითხულ იქნა ბრძანება მომავალი შეტევის შესახებ, პოლკებში, ბატალიონებსა და ასეულებში აგზნებული განწყობილება შეიქმნა. ყველას ესმოდა, რომ დადგა საბრძოლო გამოცდის, მხედრული სახელის მოხვეჭის ჟამი. პოლონური დროშებისა და პოლონელი ხალხის ღირსება პოლონეთის ბაირაღის ქვეშ მებრძოლი დივიზიის ყოველი ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან მოითხოვდა გამბედაობას, გულადობას, ვაჟკაცობას.

დივიზია საუცხოოდ არის შეიარაღებული. მას ეხმარებოდა მძლავრი საბჭოთა არტილერია. დივიზია დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა, თვალი მიპყრობილი ჰქონდა იქით, სადაც მწვანე სივრცეებს მიღმა გადაშლილია პოლონეთის მიწა-წყალი, ჭრილობებით დაფარული, ტანჯული, მაგრამ უსაზღვროდ საყვარელი სამშობლო.

ჯარისკაცთა გული გააფთრებამ მოიცვა. ხალხი მიისწრაფოდა ბრძოლისაკენ, სწადდა პირისპირ შეხვედროდა მტერს და შური ეძია სამშობლოს მთელი ტანჯვისათვის.

არა, არ დაღუპულა პოლონეთი, ვიდრე ცოცხლობენ მისი შვილები, ვიდრე ცოცხლობს პოლონელი ხალხის მისწრაფება—გაცხარებით იბრძოლოს თავისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ბრძოლის წინ ოფიცრები განუმარტავდნენ ჯარისკაცებს დასახულ ამოცანას. „პოლონეთის ღირსება სიმამაცეს მოითხოვს ჩვენგან“, —ეუბნებოდნენ ისინი ჯარისკაცებს. დივიზიის ქსონძმა ფრანტიშე კუკშმა ბრძოლის წინ მთელი ღამე მოწინავე პოზიციებზე გაატარა, იგი ჩამოუვლიდა მებრძოლებს, ლოცავდა და აღფრთოვანებდა მათ.

სწორედ იმ მომენტში, როდესაც ქვეითი ჯარი იერიშზე უნდა გაქანებულიყო, იგი სანგრის ბრუსტვერზე ავიდა და მტრის ცეცხლის მიუხედავად განაგრძობდა მეომრების დალოცვას, მოუწოდებდა მათ საგმირო საქმეებისაკენ სამშობლოს სადიდებლად.

პოლონელთა ქვეითი ჯარი იერიშზე გადავიდა. მის წინაშე იყო გერმანელთა პოზიციები, საბჭოთა არტილერიის მძლავრი ცეცხლით განადგურებული და დარღვეული. მაგრამ შეუპოვარი მტერი, რომელსაც თავი მეეფობინა ოკუპაციის დადგომამდე ხელისუფალ, ყველაფერში, ყველგან განაგრძობდა სროლას. პოლონელი მეომრები მამაცურად იბრძოდნენ, როგორც ამას პოლონეთის დივიზია მოითხოვდა. მათ გაიარეს მტრის თავდაცვა და წინ გაეშურნენ. გაფთრებით გადაეშვნენ ჯარისკაცები ხელჩართულ შეტაკებებში და სპობდნენ გერმანელებს, რომლებიც კი წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ დივიზია მტრის თავდაცვის სიღრმეში შეიჭრა. პოლონელთა ნაწილებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გაფთრებულ ბრძოლებში გერმანელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. შემტევებმა ტყვედ წამოიყვანეს ბევრი ჰიტლერელი.

გერმანელებმა ვერ გაუძლეს პოლონელთა გააფთრებულ მიწოლას და უკან დაიხიეს. მაგრამ, გოლს რომ მოვიდნენ, მალე კონტრიერიშში მოიტანეს პოლონელთა ქვეგანაყოფებზე. ბრძოლა გრძელდებოდა. რამდენიმე დასახლებული პუნქტი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში.

მეორე დღეს გერმანელებმა გამოიყვანეს თავისი ავიაცია, რომელმაც 1.200 თვითმფრინველგაფრენა მოახდინა პოლონელთა დივიზიის უბნის თავზე. მაგრამ ვერც ყუმბარებმა, ვერც ბომბებმა, ვერც ნაღმსატყორცნთა და ტყვიამფრქვევთა ინტენსიურმა ცეცხლმა უკან ვერ დააბრუნეს პოლონელებს. ისინი მტკიცედ ინარჩუნებდნენ ბრძოლით დაკავებულ პოზიციებს.

გაფთრებულ ბრძოლებში პოლონელთა დივიზიის ქვეითებმა, ტანკისტებმა, არტილერისტებმა და სხვა ტექნიკურმა ნაწილებმა და ქვეგანაყოფებმა მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა და მანევრირების უნარი გვიჩვენეს,—აღნიშნავს „კრასნაია ზვეზდა“.

ბრძოლაში მრავალმა პოლონელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გამოიჩინა გმირობა. კაპრალი ლევინსკი იერიშის დაწყების დროს ჰოსპიტალში იყო. როდესაც შეიტყო, რომ მისი პოლკი ბრძოლაში ჩაება, იგი ჰოსპიტლიდან გაიქცა და მთელ დღეს იბრძოდა თავისი ქვეგანაყოფის შემადგენლობაში. პოლკოვნიკი

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

მაიორი ა. შავლიაშვილი

ალექსანდრე იროდიონის-ძე შავლიაშვილი დაიბადა 1906 წელს ქ. თელავში. 1924 წელს ამხ. შავლიაშვილი შევიდა სამხედრო სკოლაში და ამის შემდეგ განუწყვეტლივ წითელი არმიის რიგებში იმყოფება. სამამულო ომში მონაწილეობას იღებს საომარი მოქმედების დაწყების პირველივე დღიდან.

ამხ. შავლიაშვილს დაევალა 5 დასახლებული პუნქტის განთავისუფლება ფაშისტი ურამზადებისაგან. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან ამ პუნქტს ძნელად მისასვლელი მიდამოები ჰქონდა. ამხ. შავლიაშვილმა თავისი ქვეგანაყოფის მებრძოლებით შეასრულა ეს ამოცანა, განდევნა მტერი დასახლებული პუნქტიდან, ამასთან მრავალი ჰიტლერელი გაჟლიტა. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა შეტევას და პირადი მაგალითით მიჰყავდა წინ მებრძოლები.

ამხ. შავლიაშვილს მრავალი რთული დავალება შეუსრულებია. იყო ასეთი ნემთხვევა: მებრძოლთა ერთ ჯგუფს დავალებული ჰქონდა მტრის ზურგში ოპერაციის ჩატარება, მაგრამ გერმანელებმა აღმოაჩინეს ეს ჯგუფი და გარს შემოერტყნენ. ამხ. შავლიაშვილს დაევალა მისთვის დახმარების გაწევა მან თავისი მებრძოლებით გაარღვია მტრის რკალი, შეუერთდა გარეშოცულ ჯგუფს, დაეხმარა მას თავისი ამოცანის შესრულებაში და უვნებლად გადმოიყვანა ჩვენს ტერიტორიაზე.

— ჩვენს განლაგებას ერთხელ 15 ტანკმა შემოუტია,—მოგვითხრობს ამხ. შავლიაშვილი. — ჩემს მებრძოლებს დაევალათ მათი შემოვლა რთული მანევრირებით.

სათვალთვალო პუნქტში დავრჩით მე, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. ლორია და ერთი მეავტომატე. სამივეს ტანკსაწინააღმდეგო თოფები გვქონდა. ტანკები პირდაპირ ჩვენსკენ გამოემართნენ. მაგრამ ჩვენ მტკიცედ დაეუხვდით, შევიკავეთ მათი შემოტევა, რითაც შესაძლებლობა მივეცით მებრძოლებს შეესრულებინათ თავიანთი ამოცანა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ამხ. შავლიაშვილის ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს პწერალი სიმონ ჩიქოვანი თავის ნარკვევში „ქართველი მებრძოლები ყუბანში".

„მაიორი შავლიაშვილი კ-დან ოთხი კილომეტრით დაშორებული იდგა და სამამულო დავალებას ელოდა. სოფელში შესასვლელი გზა მტერს ჰქონდა დაკავებული და შავლიაშვილის მეომრები ბრძოლის ველიდან ტბით და გაუვალი ჭაობით იყვნენ გადაღობილი. ღამის სამ საათზე მაიორმა საბრძოლო ამოცანა მიიღო: როგორმე დახმარებოდა სოფელში მებრძოლ ნაწილებს და მტრისათვის ზურგში დაერტყა. დავალება ძნელად შესასრულებელი სჩანდა, რადგან ჭაობის და ტბის გადალახვა ასეთ მრუშე ღამეში შეუძლებელი იყო. მოყინულ ტბაზე მაიორს ორმოცი ეგულებოდა და ლაქაშებით დაცრილული ზედაპირი გაუვალ ეწერა ბოგაგონებდათ, ხოლო საბრძოლო დავალების დაყოვნება არ შეიძლებოდა. დაფიქრებულ მაიორს მეავტომატე ევგენი ძლიერაშვილი მოახვდა თვალში. ძლიერაშვილმა სახელი ჯერ კიდევ თერგის ნაპირებზე ბრძოლაში მოიხვეჭა და ახლა გაჭოცდილ მეომრად ითვლებოდა. მაიორი ეთათბირა მას და მებრძოლმა რამდენიმე წუთში მოიყვანა ადგილობრივი მეთევზე. ახოვანი და ბრგე მოხუცი. მეთევზემ სიხარულით იკისრა მებრძოლთა მეგზურობა და ნაწილის მოყინული ტბით ოერნებლად მიყვანა დანიშნულ ადგილზე. მოხუცი გაუძღვა მებრძოლებს. წყვდიადი მეფობდა გაუვალ მიდამოში, ძნელი გამოსაცნობი იყო, სად სრულდებოდა ჭაობი და სად იწყებოდა ლელიანი ტბა. მოხუცმა მაშინვე გაარკვია ყოველივე: ლაშქართა შორის ირმის ნახტომივით გავლებული ხოლი მეთევზეთა ნავებით გაკაფული ტბის ზედაპირს მოასწავებდა. ამ ადგილებში ტბა უფრო ღრმა იყო და ყინულიც უფრო სქელი. მეთევზეების მიერ გაკაფულ ამ ტბის ზედაპირზე გაიყვანა მოხუცმა ჩვენი მებრძოლები. ისინი უხმოდ და ბრძოლის ენერ. აღჭურვილნი წავიდნენ ბრძოლის ველისკენ. ქარი სახეში სცემდა მეომრებს და სიცივე ძვლებში ატანდა. დილის ექვს საათზე მოელი ნაწილი მიადგა ბრძოლის ცეცხლში გახვეულ სოფელს. იგი ტბიდან მოულოდნელად ამოვიდა და ორი მხრით დაესხა მტერს. პირველი შემტევი რაზმი მალე მტრის ტანკების ცეცხლში მოხვდა და შეიფოროვებულ იქნა მტრის ურჩხულების კონტრიერშეთ... ჩვენი მებრძოლები ეკვეთნენ მტერს. ტერის ტანკთა გუგუნმა გადასერა სივრცე. ტანკებს მოჰყვებოდნენ მეავტომატეთა ჯგუფები და მეტყვიამფრქვევენი. დილაც ჯანლიანი დადგა და ნესტიანი ქარი გაძლიერდა. ჩვენმა მეომრებმა ბრძოლის ხაზი შეინარჩუნეს და განლაგდნენ".

ნ. ივანიძე

სტალინური შევარდნები გვარდიის პოდპოლკოვნიკი გ. ი. ჩიტაიშვილი, ლეიტენანტი ო. გ. ჩეჩელაშვილი და მისი რადისტი-მსროლელი ნ. ცირეკიძე სხვადასხვა ფრონტებზე იბრძვიან, თითოეული მათგანი თავის უბანზე რისხვას წარმოადგენს გერმანელი ფაშისტებისათვის (იხ. გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილები: გვარდიის პოდპოლკოვნიკ გ. ჩიტაიშვილის შესახებ 1942 წ. 21/IX და 1943 წ. 15/VIII, ლეიტენანტ ო. ჩეჩელაშვილის შესახებ — 1943 წ. 3/X).

ამას წინათ სახელოვანი მფრინავები ესტუმრნენ ჩვენს რედაქციას, ესაუბრნენ რედაქციის მუშაკებს და უამბეს თავიანთი ბრძოლის ეპიზოდები.

სურათზე — მარცხნიდან მარჯვნივ: გვარდიის პოდპოლკოვნიკი გ. ი. ჩიტაიშვილი, ლეიტენანტი ო. გ. ჩეჩელაშვილი და სერჟანტი ნ. ცირეკიძე.

გვარდიის პოდპოლკოვნიკ გ. ი. ჩიტაიშვილს

გორის გამაჯანსაღებელი მოედნის პიონერებმა გაზ. „კომუნისტში" წავიკითხეთ თქვენი წერილი რედაქციისადმი, ამავე ნომერში გაეცანით თქვენს საბრძოლო გმირულ მოქმედებას. თქვენი და თქვენი თანამებრძოლების გმირული მოქმედება აღგვაფრთოვანებს ჩვენ, სტალინის სამშობლოს ქალაქის ბავშვებს. ვოცნებობთ გავზარდოთ და ჩვენც გავხდეთ გმირი სტალინური შევარდნები. თქვენ, სტალინური არწივები, ჩვენი საყვარელი და სასახელო მეგობრები ხართ, რადგან დიდი და უსაზღვრო თქვენი თავგანწირული ბრძოლა შავი ყორნებისაგან ჩვენი საყვარელი საშობლოს დასაცავად. თქვენ, გმირი მფრინავები, დღედაღამ დგეხართ სადარაჯოზე, რათა საბიზღარი ფაშისტი საჰაერო მეკობრეებისაგან დაიცვათ ფრონტის მამაცი მებრძოლები.

ჩვენ, პიონერებს, გვიყვარს საბჭოთა მფრინავები, რადგან ისინი იბრძვიან, რათა საბჭოთა მომავალ თაობას კაციჭამია არამზადებმა არ წაგვართვან ბედნიერი ბავშვობა. თქვენისთანა ერთგული საუკეთესო გმირების თავგანწირული ბრძოლით სამშობლოს აქვს საშუალება მტერს სასტიკი დარტყმა აგემოს და საბოლოოდ ჩაუშალოს ვერაგული გეგმები. ჩვენ კი, ზურგში მყოფ მომავალ თაობას, გვეძლევა საშუალება ბანაკებში და მოედნებზე კულტურულად დავისვენოთ და გავჯანსაღდეთ, დასვენებული ენერგიით განვაგრძოთ სწავლა.

საყვარელი ბელადი ძია სტალინი ომის დღეებშიც ზრუნავს ბავშვთა გაჯანსაღებასა და დასვენებაზე.

გართობა-დასვენებასთან ერთად ვეცნობით ჩვენი დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის ცხოვრებას და მოღვაწეობას, საბჭოთა სახელოვანი გმირების საბრძოლო დამსახურებას, ვეუფლებით სამხედრო საქმეს, ვიწყობთ სამხედრო თამაშობებს, სადაც ვეჩვევით დაზვერვის, შეტევის, თავდაცვის და ბრძოლის სხვა ხერხებს.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, გრიგოლ იოსების-ძე, გიგზავნით პიონერულ სალამს, „გიტარებთ ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვებას. ვნატრობთ თქვენთან პირადად შეხვედრას. გადაეცით მებრძოლებს ჯულთბილი პიონერული სალამი დიდი სტალინის სამშობლო ქალაქის პიონერებისაგან. იმედი გვაქვს მოგვწერთ თქვენი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს უფრო დაწვრილებით.

გორის პიონერები:

ლ. მესროფოვი, ქ. ციცვიძე, გ. გასიტაშვილი, ლ. ვერხალი, ა. კოტლიარი, რ. იუდელხონი, გ. მთვარელიძე, მ. მაკრახიძე, ო. ჭალიძე, გ. კლიმიაშვილი.

გვარდიის პოდპოლკოვნიკ გ. ჩიტაიშვილის პასუხი

გორის გამაჯანსაღებელი მოედნის პიონერებს

დიდი სტალინის სამშობლო ქალაქ გორიდან მიღებულმა თქვენმა კოლექტიურმა წერილმა დიდად მასიამოვნა. კარგია, რომ თქვენს შორის ბევრს სურს მომავალში გახდეს სტალინური შევარდენი. ამისათვის კი, ჩემო ძვირფასო პიონერებო, საჭიროა ისწავლოთ ფრიადზე, დაუჯეროთ თქვენს მშობლებს და მასწავლებლებს, დაეხმაროთ ჩამორჩენილ ამხანაგებს, იყოთ პირველნი როგორც სწავლაში, ისე ყოველივე საქმიანობაში. ჩვენ კი აქ ვიბრძვით ისე, როგორც ეს შეეფერება სტალინურ შევარდნებს.

ჩვენი ნაწილი უკვე დიდი ხანია გვარდიულია, ჩვენი მფრინავთა კოლექტივი კი მტერს ურტყამს უყმბარებს ისე ზუსტად, როგორც ეს შეეფერებათ გვარდიელებს.

უახლოეს გაფრენას ჩვენ დავარქმევთ თქვენს სახელს და თქვენი სახელით დავაყრით ყუმბარებს საზიზღარ გერმანელ ფაშისტებს, რომლებსაც. სწადიათ მოუტანონ ჩვენს ბედნიერ ბავშვებს მონობა და მოუსპონ მათ ბედნიერი ცხოვრება.

ძვირფასო ბავშვებო, იყავით კარგად, ისწავლეთ ფრიადზე, გახდით ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანები, სოციალისტური საშობლოს მტკიცე და გულადი დამცველები. ჩვენ კი, საბჭოთა კავშირის მარშალ დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით დაკიცავთ თქვენს მშვიდობიან ცხოვრებას, სწავლას და მალე საბოლოოდ ჩავანადგურებთ საზიზღარ გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს.

მიიღეთ ჩემი საბრძოლო სალამი.

გვარდიის პოდპოლკოვნიკი გ. ჩიტაიშვილი

ორგზის ორდენოსანი წითელარმიელი გ. სიამაშვილი

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელარმიელი გიორგი დელიბერის-ძე სიამაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ეს უკვე მეორე ორდენია, რომელიც მან მიიღო სამამულო ომის ფრონტზე. გასული წლის ოქტომბერში მან მიიღო წითელი დროშის ორდენი. ორივე ეს მაღალი ჯილდო სავსებით დაიმსახურა ამხ. სიამაშვილმა თავისი გმირული და უნარიანი ბრძოლით.

გაზ. „კომუნისტის" 1942 წლის 15 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია საკდესის სპეც. კორესპონდენტის ი. ლაპონოფოვის წერილი სათაურით „კავკასიის შვილები", სადაც იგი სწერს:

„ცხარე ბრძოლაში იშვა მეტყვიამფრქვევეი სიამაშვილის სახელი. ბრძოლა ერთბაშად გაჩაღდა მთელ უბანზე, მაგრამ იმ ფლანგს, რომელსაც სიამაშვილი თავისი ტყვიამფრქვევით იცავდა, გერმანელებმა მეავტომატეთა დამკვრელი ჯგუფი მოაყარეს. სიამაშვილმა თავისი ტყვიამფრქვევის ცეცხლით მიწაზე განართხო მათი პირველი რიგები. მაგრამ ჰიტლერელები კვლავ შეგროვდნენ, მთელი სიმაღლით აღიმართნენ და ჯიქურ წამოვიდნენ. მეტყვიამფრქვევემ ამ ხნის განმავლობაში მოასწრო დისკოს გამოცვლა და კვლავ შეხედა მათ გრიგალისებური ცეცხლით. ფაშისტები განუწყვეტლივ უშენდნენ ავტომატებს და მძვინვარე გაფთრებით მოძვრებოდნენ წინ. ტყვიამ ქართველს თავზე პილოტური ქუდი გადააცალა, მეორე ტყვიამ პირისახე დაუწვა, ძალზე გახურდა ტყვიამფრქვევის ლულა, მაგრამ მისი ცეცხლი კვლავ სიკვდილსა სთესავდა შემომტევთა შორის.

მტერი უკიჩქცა. წუთით სულის მოთქმის შემდეგ ფაშისტები ისევ ეკვეთნენ სიამაშვილის, პოზიციას. მეტყვიამფრქვევემ შეუფოთებით შეხედა უკანასკნელ დისკოს და ჩაილაპარაკა: „ეახნები უნდა დავზოგო". უკანიდან მოახლდა მეკავშირე. მან გადასცა მეთაურის ბრძანება, რადაც უნდა დაგიჯდეს ზღუდე შეინარჩუნეო.

— არის, შევინარჩუნო ზღუდე! — უკან მიუბრუნებლად უპასუხა სიამაშვილმა. ფაშისტების ხშირი მწკრივები ახლოვდებოდნენ. სიამაშვილი ელოდა, რათა აუცდენლად დაეშინა. როცა საცეცხლე წერტილა და გერმანელებს შუა 150 მეტრზე მეტი მანძილი აღარ რჩებოდა, ტყვიამფრქვევი აკაკანდა. პირველმავე ჯერებმა ათზე მეტი ჯარისკაცი გამოსტაცა შეტევაზე გადმოსულთა რიგებს.

ამ დროს ჩვენი ქვეითი ჯარი კონტრიერიშზე გადავიდა. გერმანელები შედრეკნენ და უკან დაიხიეს.

ქვეითი ჯარის დასახმარებლად გერმანელებმა ავიაცია გამოიყვანეს. ერთმა მოპიკრა ბომბდამშენმა პირდაპირ სიამაშვილის უბნისაკენ აიღო გეზი. მაშინ მებრძოლმა სასწრაფოდ შესდგა სამფეხას წინა თათი სანგრის მიწაყრილზე, მიუწვა მაღლისაკენ მოპარული ტყვიამფრქვევს და ელოდა, როდის დაიწყებდა პიკირებას ფაშისტთა თვითმფრინავი. მან მოტორს დაუმიზნა და გრძელი ჯერი დააყარა. მანქანას ცეცხლი წაეკიდა და ფარფატით გაემართა მთებისაკენ, თან კვამლის კვალს სტოვებდა. ერთ-ერთი ხეობის ძირში მფრინავმა და თვითმფრინავმა ჰპოვეს თავისი აღსასრული. ამ დღეს სიამაშვილის საბრძოლო ანგარიშმა ორ ასეულ გაელეტილ ჰიტლერელს გადააკარბა".

გორგი დელიბერის-ძე სიამაშვილი დაიბადა 1916 წელს სოფ. ვაკიჯვარში (მახარაძის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა არ გაუგრძელებია. სოჭაბუკე მთაში საჭონელთან გაატარა და კოლმეურნეობის დაარსებიდან, კოლმეურნეობაში მუშაობს ჯერ მწყემსად, ხოლო შემდეგ პირველი ბრიგადის ბრიგადირად და ამავე დროს საკოლმეურნეო კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად. მისმა ბრიგადამ კარგი მუშაობით გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. შემდეგში იგი მუშაობდა საკოლმეურნეო ფერმის გამგედ. სამამულო ომის დაწყებისას გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

სამშობლოს პატრიოტმა გ. სიამაშვილმა ორი ჭრილობა მიიღო. ახლა იგი ისვენებს მშობლიურ კოლმეურნეობაში და მალე ახალი ენერგიით შეებმება ვერაგ მტერს.

ლ. ლოლაძე

მამაცი მეკავშირეები

— ქვეგანაყოფებს შორის სატელეფონო კავშირი განუწყვეტელი უნდა იყოს,—უბრძანეს შეტევის დაწყების წინ ტელეფონისტ გიორგი ზაალიშვილს.

ზაალიშვილმა თავის თანამებრძოლები ილია მაჭარაშვილი და გრიგოლ ბერიძე გააფრთხილა, ესაუბრა მათ განუწყვეტელი სატელეფონო კავშირის დიდ მნიშვნელობაზე.

დაიწყო შეტევა. მთელ არემარეს ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლი ჰფარავდა. მტრის საარტილერიო ცეცხლით დანგრეულ ხიდთან დაგუბებული წყალი ერთბაშად ტალღად წამოვიდა და წალეკა სატელეფონო ხაზი, რომელიც ხიდზე გადიოდა.

ზაალიშვილმა ეს მაშინვე შენიშნა. ის დაუყოვნებლივ გაჩნდა ხაზის დაზიანების ადგილზე, მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ უშიშრად ჩავიდა წყალში და აღადგინა კავშირი ქვეგანაყოფებს შორის.

მამაცმა მეკავშირეებმა ზაალიშვილმა, მაჭარაშვილმა და ბერიძემ ერთი ღამის განმავლობაში სატელეფონო კავშირი 12-ჯერ აღადგინეს. ისინი წარდგენილნი არიან მთავრობის ჯილდოზე.

უფროსი ლეიტენანტი რევიშვილი
მოქმედი არმია.

მეგყვიამფრქვევე ზურაბიშვილმა მტრის ორი ყვიამფრქვევი მოსპო

მოწინააღმდეგე ხელსაყრელ მაღლობზე გამაგრებულიყო და ორი ტყვიამფრქვევის გაუნელებელი ცეცხლით საგრძნობლად აძნელებდა ჩვენი ქვეგანაყოფების წინსვლას.

— თქვენ თუ არ ჩაგაჩუმეთ, რაღა ქართველი ვაჟკაცები ვიქნებით,—ამხანაგების გასაგონად ჩაილაპარაკა მებრძოლმა ილია ზურაბიშვილმა და თავისი ტყვიამფრქვევი ფრთხილად და მოხერხებულად მიუახლოვა მტრის სატყვიამფრქვევო საცეცხლე წერტილ.

ჰიტლერელმა არამზადებმა შეამჩნიეს ჩვენი მეტყვიამფრქვევის მიახლოება და ცეცხლი ჯიქურ უფრო გააძლიერეს.

მამაცმა მეტყვიამფრქვევე ზურაბიშვილმა თავისი ტყვიამფრქვევით ცეცხლის ალში გაახვია მოწინააღმდეგე. არ გასულა დიდი ხანი. და ჰიტლერელების ორივე ტყვიამფრქვევი დადუმდა. ფაშისტმა მეტყვიამფრქვევეებმა გაქცევა დაიპირეს, მაგრამ ზურაბიშვილმა მათაც მიუმარჯვა ცეცხლი და ორ ჰიტლერელს მოუსპო სიცოცხლე.

ხ. ვასაძე

მებრძოლმა კერვალიძემ მტრის მძიმე ყვიამფრქვევი მოსპო

მოწინააღმდეგის მძიმე ტყვიამფრქვევი მთელი ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ უშენდა ცეცხლს ჩვენს ქვეგანაყოფს და არ აძლევდა საშუალებას წინ წაწეულიყო.

მებრძოლი სერაფიონ კერვალიძე თავისი ტანკსაწინააღმდეგო თოფით შეუმჩნევლად მიუახლოდა ჰიტლერელთა საცეცხლე წერტილ, მოხერხებულ ადგილზე მოაწყო პოზიცია და სამი გასროლით მწყობრიდან გამოიყვანა მტრის ტყვიამფრქვევი.

მოწინააღმდეგის მძიმე ტყვიამფრქვევის მოსპობით სერაფიონ კერვალიძემ ჩვენს მებრძოლებს საშუალება მისცა წარმატებით შეესრულებინათ მიცემული საბრძოლო ამოცანა.

მებრძოლი ზალიაშვილი

ლეიტენანტ ქინქლაძის გაბედული მოქმედება

ჩვენს ერთ ქვეგანაყოფს გერმანელთა მეავტომატეების ჯგუფი ფლანგიდან უვლიდა. ქვეგანაყოფს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკავებული ხელსაყრელი საცეცხლე პოზიცია და მოწინააღმდეგის მეავტომატეები მას საფრთხეს უქმნიდნენ.

მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა ქინქლაძემ სასწრაფოდ გადაიტანა ტყვიამფრქვევი ქვეგანაყოფის ფლანგზე და დაუშინა ცეცხლი მოწინააღმდეგის მეავტომატეებს.

ლეიტენანტ ქინქლაძის გაბედული და მოხერხებული მოქმედების შედეგად მტრის მეავტომატეთა ჯგუფის ცდა—ფლანგიდან დაერტყათ ჩვენი ქვეგანაყოფისათვის—ჩაშლილ იქნა. ქვეგანაყოფმა ტყვიამფრქვევის ცეცხლის საფარქვეშ ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა, შეტევაზე გადავიდა და წინ წაიწია.

მ. არუთინოვი

კომკავშირელ სვანაძის ათეულმა სიმაღლე დაიკავა

როდესაც ბრძანება მიიღო, ათეულის მეთაურმა ამხ. სვანაძემ თავის მებრძოლებს ამოცანა გააცნო და მოუწოდა მედგარი და უნარიანი მოქმედებისაკენ.

— სიცოცხლის გაწირვაც რომ დაგვჭირდეს, სარდლობის მიერ მოცემული ამოცანა უნდა შევასრულოთ!—უთხრა მან მეომრებს.

დაიწყო გააფთრებული ბრძოლა. ქვეგანაყოფების ათეულები მოხერხებული მანევრირებით და უნარიანი მოქმედებით წინ მიიწევდნენ. ჰიტლერელები ყველა სახის იარაღის ცეცხლს უშენდნენ. მაგრამ ჩვენი გულადი მებრძოლები ოღნავადაც არ შემკრთალან.

ამხ. სვანაძემ „ვაშას" ძახილით წაიყვანა თავისი ათეულის მებრძოლები და ტაქტიკურად დიდი მნიშვნელობის სიმაღლე დაიკავა. ათეულის არც ერთი მებრძოლი არ დაზარალებულა, კომკავშირელმა სერჟანტმა მიცემული ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

მებრძოლი ზარამანიძე

პარტიული ცხოვრება

ერთი ქარხნის პარტიულ კრებაზე

თბილისის რადიოქარხანაში პარტიული კრებები მეტწილად მომზადებულად ტარდება. პარტიუროს მდივანი ამხ. კაპანაძე წინასწარ ესაუბრება კომუნისტებს კრებაზე განსახილველი საკითხების შერჩევისათვის, ამცნებს ამ საკითხებს პარტიუროს სხდომაზე და ისე გამოაქვს კრებებზე.

18 ოქტომბერს ქარხანაში ღია პარტიული კრება ჩატარდა. ამ კრებისათვის მზადებას პარტიუროო ათი დღით ადრე შეუდგა. წინასწარ შეარჩია საკითხები, დაამტკიცა ბიუროს სხდომაზე და ხუთი დღით ადრე გამოაკრა კრების დღის წესრიგი გასაცნობად.

კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. მას კომუნისტებთან ერთად ბევრი არაპარტიული ბოლშევიკი დაესწრო. დღის წესრიგში ასეთი საკითხები იყო: მესამე კვარტალის შედეგები და მეოთხე კვარტალის ამოცანები; წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. პირველ საკითხზე მოხსენება, რომელიც ქარხნის დირექტორმა ამხ. კანკავამ გააკეთა, საფუძვლიანად იყო მომზადებული. იგი მოიცავდა მუშაობის თითქმის ყველა ძირითად უბანს. მიღწევებთან ერთად, მომხსენებელმა დაახასიათა ის ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი ჰქონდა მესამე კვარტალში. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მეორე საამქროს მუშაობაში ხშირად ადგილი აქვს „იერიშობანას". მართალია, საამქრო არ ჩამორჩება გეგმების შესრულებაში, მაგრამ გრაფიკით მუშაობის პირობებში მას გაცილებით მეტის მოცემა შეუძლია.

კამათში გამოსულმა მეორე საამქროს უფროსმა ამხ. სანველიანმა რატომღაც გვერდი აუარა საამქროს აღნიშნულ ნაკლოვანებას. გარდა ამისა, გააკრიტიკა რა ქარხნის კადრების განყოფილების მუშაობა კადრების მომზადების დარგში, არაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ატარებს ამ მხრივ თვით საამქროო, როგორ ეხმარებიან ახალ მუშებს პროფესიის ათვისებაში საამქროს ოსტატები და ბრიგადირები.

პირველი საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ფირსაკოვმა სამართლიანად გააკრიტიკა საქარხნო კომიტეტი, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების განზოგადება.

კამათში სულ 7 ამხანაგი გამოვიდა. ნაკლოვანებების მხილებასთან ერთად მათ წამოაყენეს მთელი რიგი სამეცნიერო წინადადებანი. ბოლოს — განმორტელებამდე უნდა უზრუნველყოს ქარხნის მუშაობაში არსებული დისკუსიების მომზადებული შეფასებანი. ასევე ეს ამ ... ტების ... ...

ახალი გამარჯვებებით შეხვდეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXVI წლისთავს

გურჯაანის რაიონის სოფ. კარდენახის საშუალო სკოლის მოწაფე მაყვალა გულაშვილი ჰკრეფს კომშს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ბელადის სახელობის ქარხნის სტახანოველთა წარმატებანი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა წორრის (ქარხნის დირექტორი ამხ. დ. ჭიჭინაძე, პარტკომის მდივანი ამხ. ი. ნეფარიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ეგორაშვილი) ფართოდ გაჩაღდა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნის მუშები იბრძვიან, რათა მეტი სამრეწველო პროდუქცია მიაწოდონ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას და დააჩქარონ საძულველ ჰიტლერელებზე გამარჯვების ჟამი.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სანიმუშოდ ასრულებს ის საამქრო, სადაც უფროსად არის ამხ. მ. შენგელია. აღნიშნულმა საამქრომ სექტემბერში 366 პროცენტით შეასრულა საწარმოო დავალება **და** ასევე განაგრძობს მუშაობას ოქტომბერში. კარგად მუშაობს აგრეთვე ის საამქრო, სადაც უფროსად არის ამხ. გ. სიმონიანი. ამ საამქრომ სექტემბერში სპეცდავეთის საწარმოო პროგრამა 116 პროცენტით შეასრულა და ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. ახალი საწარმოო საჩუქრებით ხვდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის საბელოვან XXVI წლისთავს ის საამქრო, სადაც უფროსად არის ორდენოსანი ინჟინერი ამხ. ვლ. გოგირიძე. აღნიშნულმა საამქრომ სექტემბერში 200 პროცენტით შეასრულა საწარმოო დავალება და ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. ასევე წარმატებით განაგრძობს იგი მუშაობას ოქტომბერში.

ქარხნის სტახანოველები ფრონტული მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. ე. ბედიანაშვილი, ვლ. წიკლაური, ა. მამაცაშვილი და სხვები სტახანოვურ ვახტებზე ჰუშაობენ და დღიურ ნორმებს 1.025—1.350 პროცენტით ასრულებენ.

ფრონტულად მუშაობენ **ლურგალი ტ.** კობახიძე, ზეინკალი ი. დაუთაშვილი, ქვლეივიც, მეიფარიშვილი, გოლუბჩიკოვი, პავლოვი **და** სხვ., რომლებიც წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებებს 400-ზე მეტი პროცენტით ასრულებენ.

თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან ფრონტელთა ცოლები არტემოვა და ლუცენკო. ისინი გმირულ შრომასთან ერთად მოხერხებულად თავსებენ ოჯახის მოვლას და საწარმოო პროგრამას 200-350 პროცენტით ასრულებენ.

ბელადის სახელობის ქარხნის მუშათა კოლექტივს სოციალისტურ შეჯიბრებაში გაბოროტებული ჰყავს ტაშკენტის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა. ქარხნის მთელი კოლექტივი, გამსჭვალული ერთიანი რწმენით — ვერაგ მტერზე, საძულველ ჰიტლერელებზე გამარჯვების რწმენით, ყველფერს გააკეთებს სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ კალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის.

ლ. სარჯველაძე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი კომკავშირელი ამხ. ს. პავლიაშვილი სამუშაო დაზგასთან.

ფოტო ვ.გინზბურგისა

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲣ ᲪᲘᲪᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲛᲔᲒ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

ლიმონ-მანდარინის ტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობამ (მახარაძის რაიონი) წელს ქვეყანას უნდა მისცეს 10 მილიონი ცალი მანდარინი, 160.000 ცალი ლიმონი, 60.000 ცალი ფორთოხალი და გრეიპფრუტი, ნახევარ მილიონ ცალზე მეტი სხვა სტატროპული ხილი, ციტრუსოვანთა მრავალფეროვანი და სხვ. შარშან მეურნეობის ფრინდა შემოსავალი 560.000 მანეთს უდრიდა. წელს კი იგი 1 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ურეკის საბჭოთა მეურნეობაში, გარდა ციტრუსებისა, რომლებსაც 265 ჰექტარამდე უჭირავს, მარტო იაპონური ხურმა დაკავებულია 22,5 ჰექტარი, ფეიხოა და პეკანი—სამ-სამი ჰექტარი, ტუნგო — 12.5 ჰექტარი. გაშენებულია აგრეთვე მუშმულა, ევკალიპტი, ბამბუკი და ბევრი სხვა ძვირფასი მცენარე. ურეკის საბჭოთა მეურნეობაში მანდარინისა და ლიმონის ზოგიერთი ხე რამდენიმე ათას ცალ ნაყოფს იძლევა, უხვ მოსავალს იძლევა ფეიხოას და პეკანის ნარგავებიც.

ციტრუსოვან მცენარეთა საუკეთესოდ მოკლისათვის ურეკის საბჭოთა მეურნეობას მეორე წელია ხელთ უპყრია ლიმონტრესტის გარდამავალი წითელი დროშა. მეურნეობა გეგმებს ყოველთვიურად და კვარტალურად გადაჭარბებით ასრულებს.

მარტო წელს შარშანდელთან შედარებით სტახანოველთა რიცხვი გაზრდილია 60 პროცენტით. დავალებათა შესრულებაში გაჯაფურებით ისახელეს თავი აგრ. ტ. გოგოძემ, რ. ჯაფარიძემ, ს. ღლონტმა, ქეთევან დეკანოსიძემ, ლიდა გუდეევამ, მარიამ ხობროდევამ და სხვ.

ამჟამად ურეკის საბჭოთა მეურნეობა გაცხოველებით ემზადება ციტრუსოვანთა კრეფისა და ნარგავების სანიმუშოდ გამოხვამთრების უზრუნველყოფისათვის. მეურნეობამ მოაწყო 3 ფარდული, მოამზადა 4.000 ცალი ყუთი, საკმაო რაოდენობით შეიძინა გოდრები, კალათები და ჩანთები. ციტრუსოვანთა კრეფა მალე გაჩაღდება და მთელი მოსავალი უდანაკარგოდ იქნება აღებული.

შ. გოგუაძე

ურეკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

ᲡᲐᲙ. ᲐᲚᲙᲙ XXV ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კოლმეურნე ახალგაზრდობის შრომითი მამაცობა

ზუგდიდის რაიონის კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდები წარმატებით იბრძვიან კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ზუგდიდის მტს-ის კომკავშირულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ა. ჯიქია) იკისრა საკუთარი ძალებით აგვისტოში შეეკეთებინა 2 ტრაქტორი თავისი სალეწი მანქანით. ვალდებულება უკვე შესრულებულია. ახალგაზრდა ტრაქტორისტმა მამფორიამ, კომკავშირელმა მ. მორგოშიამ და ვ. მიქავამ ასევე გადაჭარბებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებები.

სოფ. ჭიქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებმა სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად აიღეს ვალდებულება 25 სექტემბრისათვის შეეკეთებინათ 5 სასიმინდე, ჩაეყარათ 3 ტონა სილოსი, შეეგროვებინათ 6 ტონა გარეული ხილი და სხვ. აღებული ვალდებულება მათ უკვე შესრულეს. ამავე კოლმეურნეობის კომკავშირელმა მერგოლურამ ვენერა ნარსიამ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა რგოლს 20 სექტემბრისათვის შეასრულებინა და გამარჯვებით შეხვედროდა დიად თარიღს. ნარსიას რგოლმა, გეგმით გათვალისწინებული 12.300 კილოგრამის ნაცვლად, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 15.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდებმა (კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. ფილია) აიღეს ვალდებულება სეზონის დამთავრებამდე გეგმის ზევით მოეკრიფათ და სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ 90 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ნარაზენელმა ახალგაზრდებმა ვალდებულება მაღალხარისხოვნად შეასრულეს. მეურნეობის პირველი ბანდა, რომელსაც კომკავშირელი აგრონომი შოთა ხუბულავა ხელმძღვანელობს, ჩაის კრეფის ოქტომბრის გეგმა 8 ოქტომბრისათვის 201,6 პროცენტით შეასრულა. ასეთსავე წარმატებას მიაღწია კომკავშირელი თოდუას ბრიგადამ. ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ყველა კომკავშირელი, რომელთა რიცხვი 36-ს უდრის, სტახანოველია.

რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები ახალი წარმატებებით ეგებება საკ. ალკკ. XXV წლისთავს. ზუგდიდის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ა. ფარულავა ხელმძღვანელობს, 5.000 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარა გეგმის გადამეტებით. სოფ. ცაიშის სამუალო სკოლის მეცხრე კლასის მოწაფეებმა, კომკავშირელმა ოლია მიქავამ არდადეგების პერიოდში 350 შრომადღე გამოიმუშავა და 4.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ქალაქის სკოლების მოსწავლეებმა ორჯერ მოაწყეს კვირაობა ნარაზენისა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში და 53,5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს.

ზუგდიდის რაიონის კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდები კიდევ უფრო გააძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. კომკავშირის XXV წლისთავის შესახვედრად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დროშით ისინი ახალ-ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ.

ტ. ᲖᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ

საქ. ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი

ᲣᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 25 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ურალის ახალგაზრდობა ენერგიულად ემზადება ლენინურ-სტალინური კომკავშირის 25 წლისთავისათვის. ახალგაზრდა პატრიოტები სტახანოვურ ვახტზე დგებიან ქარხნებში, მახტებში და საკოლმეურნეო მინდვრებში.

კუიბიშევის სახელობის ნიკნი ტაგილის ქარხნის ახალგაზრდა მეტალურგებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე დაამთავრონ 10 თვის პრგრამა.

„ურალმაშის“ ახალგაზრდობამ გადასწყვიტა 10 მძლავრი მანქანა გამოუშვას გეგმის გადამეტებით. საბრძოლო მანქანების კოლონას აგებენ ნ ქარხნის ახალგაზრდა მუშები. (საკადესი).

ნ ქარხანაში. სურათზე: სამასოვანი ამწყობი ზეინკლები ალექსანდრე იასკოვი (მარჯვნით) და კომკავშირელი იური ტრუნევი ტანკის აწყობაზე.

ფოტო ვ. ბაიდალოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ

აკაკი ვასაძე ერეკლე მეორის როლში

სტალინური პრემიის ლაურეატის უჩა ჯაფარიძის ნახატი ნატურიდან 21 ოქტომბრის სპექტაკლზე

რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს სანდრო შანშიაშვილის ახალ პიესას „კრწანისის გმირებს“, მან მეტად დროული, მდიდარი და საინტერესო აქტიორული ამოცანებით აღსავსე მასალა მისცა შემოქმედებითს ძიებაში დაუცხრომელ აკაკი ვასაძეს.

მსახიობმა მრავალჭირგადახდილობაში გათეთრებული, ხანდაზმული, სიბრძნითა და კეთილშობილებით მადლმოსილი, მოოტეხელი წარმოსადგომობით და მომხიბვლელი ვაჟკაცური იერით წარმოგვისახა მხედართმთავრის სახე. აკაკი ვასაძე რამდენიმე გაბედული, მახვილი და რელიეფური მეტყველი ხაზით აღწევს გარეგნული სახიერების სრულ დამაჯერებლობას.

ამ სპექტაკლში არტისტის სიმკვეთრით და ლაკონიურობის მადლით მოსილი რამდენიმე ეპიზტი სახელმწიფოს საგეომპარობელის მთელ სახეს გვიხატავს. გმირის ფიქრსა და განცდას შესანიშნავად ასახისმეტყველებს შუქთამფენით მოელვარე თვალები.

პირველსავე სცენაში აკაკი ვასაძემ სცენიური სურათოვნობის მთელი გალერია წარმოგვისახა. ჯერ მხედართმთავარი, რომელმაც ხალხში თავისი ჯარისკაცი იცნო, იმავ წუთში მამად იქცა, რომელსაც თავის უდროოდ დაღუპული ვაჟიშვილის მოგონებამ მწუხარება მოუგვარა. ერთი მოტრიალება და ისევ მხედართმთავარი, რომელიც დღეიადაგ მორიგე ჯარის გაწვრთვნისთვის ზრუნავს. ერთი წარის შეხრა, და თქვენს წინ დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც ცარიელ დაპირებას არ ენდობა და სიტყვას საქმით ამოწმებს. ერთი ნაბიჯის წინწამოდგომა, თოფიასკენ გაწვდილი ხელი, და კაჟიანი თოფით სროლის წარმომსახველი ნაციონალური კოლორიტის კედლის მხატვრობის გაცოცხლებული სურათი. ისევ შემოტრიალება, და თქვენ თვალწინაა სიცრუის, ორპირობის და ურგულობის დაუზოგავად მამხილებელი მსაჯული. სცენაზე სადუხ-ბეგის გამოჩენა, და მეფედ გადასახიერებული შეუშფოთებლად ისმენს მტრების შემოსევის ამბავს. სცენიდან მსახიობი მიდის როგორც მეფე და რამდენიმე წუთის შემდეგ ბრუნდება, როგორც მშობელი მამა, რომლის დატუქსვაშიც კი იგრძობა მოსიყვარულე გულის ალერსი და დაყვავება. ბიესის დასაწყისის ერთ პატარა სცენაში ამდენჯერ კინემატოგრაფიული სიწრაფით გადასახიერება თუ პატივს არ სდებს დრამატურგს, სამაგიეროდ მეტად ხელსაყრელ მასალას იძლევა მსახიობის ოსტატობის გამოსაჩენად.

მაგრამ დრამა ესკიზურად, ნაკუწ-ნაკუწად ხატვასა და განსახიერებას ვერ აიტანს. დრამა ხასიათის მთლიანობაში გადმოცემას მოითხოვს. დრამა ხასიათის თანმიმდევარ განვითარებას გულისხმობს. მთელ პიესაში მხოლოდ ორიოდე სურათია, სადაც გმირი ნამდვილად დრამატიულ ვითარებაშია მოქცეული. მსახიობს მხოლოდ ამ სცენებში შეუძლია სრული ძალით გამოსცადოს თავისი წარმოსახვის გაკაბება და განსახიერების ოსტატობა. ერთ ასეთ სურათში დარეჯანის ცბიერი შეკივლებით გამოღვიძებული მეფე სცენაზე ხმლით ხელში შემოვარდება, დარეჯანი თავის დანაშაულს მეფის ერთგულ სოლომონ მსაჯულს აბრალებს, მეფე მოტყუებულია, ის მზად არის მთელი თავისი რისხვა თავს დაატეხოს კანცლერს, მაგრამ თეკლე ბატონიშვილი დარეჯან დედოფალის ცბიერებას ამხელს და ამ დროს გაისმის სულის და გულის შემძვრელი, მსახიობისაგან ჩუმი ხმით წარმოთქმული დარეჯან დედოფლისადმი მიმართული სიტყვები: „ხვალამდე მაინც დაიცდიდი, შე ქალო“... ეს სიტყვები ისეთი ადამიანური, სიმართლის გულში ჩამწვდომი ძალით იყო ნათქვამი, რომ, მსახიობს ამის გარდა ერთი სიტყვაც რომ არ ეთქვა, მიზანი მაინც მიღწეული იყო. ასეთია მთელ რიგ სცენებში აკაკი ვასაძის აქტიორული სიტყვის ძალა.

არის სცენები, სადაც აკაკი ვასაძე უსიტყვოდაც ახერხებს მაყურებლის გულში ჩაწვდომას და მისი გრძნობის შეძვრას. სამხედრო რიგვის დამთავრებისას სარდლები სათითოოდ მიდიან მხედართმთავართან და ეამბორებიან. ამ სცენის დროს გამოსათხოვრად გამოწვდილ ხელებს მხედართმთავარი ხელს გააყოლებს და აქ ერთ პატარა მოძრაობაში სრულყოფით იხატება გადამწყვეტი ისტორიული წამის მოახლოების მწველავ განცდა.

აკაკი ვასაძის ამ უთუოდ დიდ შემოქმედებითს გამარჯვებასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი დასანანებელი ნაკლი. მსახიობი კიკვიძის განსახიერებიდან მოყოლებული დაუბრუნდა ბუნებრივ ხმაზე დამყარებულ მხატვრულ მეტყველებას, რაც ადამიანური სიმართლით განსახიერებაში მას დიდ ძალას მატებს, მაგრამ ზოგიერთ სცენაში იგი მაინც ინარჩუნებს გამოგონილი და ერთფეროვანი მეტყველების კილოს.

ადგილ-ადგილ მოძრაობაში მსახიობს გაეპარება ხოლმე შეუფერებელი წარმოსახვის შტრიხები, ეს სჩანს თავისა და სხეულის ამოჩემებულ დაყენებაში, ტანის გადახრით სიარულში. ეს უადგილოდ მოტანილი ელემენტები უფრო ჭარბად სჩანდა, პირველ სპექტაკლებში, შემდეგ მსახიობი თანდათან ათავისუფლებს თავის შესრულებას ასეთი შეუსაბამო დანამატისაგან.

ზოგ სცენაში მსახიობს ემჩნევა წარმოსახვის ობიექტისადმი ფამილარული დამოკიდებულება. ზოგჯერ მეტისმეტად თავისუფლად, გაბედულად და ცივი ოსტატობის ანგარიშიანობით ხატავს და ძერწავს. სასურველი კი არის, რომ მსახიობი თავის წარმოსახვაში და ობიექტისადმი განწყობაში ყოველთვის და ყოველ სცენაში გამოხატავდეს ხალხის გრძნობას და მატივისცემას გმირისადმი.

მიუხედავად ამ ზოგიერთი დასანანებელი კორექტურული შეცდომისა, მთელი ნაწარმოები დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით არის შესრულებული და ასეთი სახის შექმნა წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს ქართულ საბჭოთა აქტიორულ შემოქმედებაში. აკაკი ვასაძემ სამამულო ომის პერიოდში განსახიერებული სარდლების (კიკვიძე, სოლომონ ლეონიძე, ერეკლე მეორე) წარმოსახვაში ახლებურად დააყენა გმირის სცენიური განსახიერების პრობლემა და წარმატებით სცადა კიდეც მისი გადაჭრა. აკაკი ვასაძე გაბედულად გასცილდა გმირის არაბუნებრივად ზეაწეული ცრუ პათოსით განსახიერების დაკანონებულ ტრადიციას და მას ადამიანური სიმართლითა და ყოფითი დახასიათებით განსახიერების იერი მოუპოვა. ეს ცდა მეტად მნიშვნელოვანია და იმასაც მოწმობს, თუ რამდენად დაუცხრომელ ძიებაშია ჩვენი სცენის სახელოვანი ოსტატი.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲒᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ—ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ

„კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ი. ბოლშაკოვის სალუბარი კომკავშირის 25 წლისთავის აღსანიშნავად ახალი ფილმების გამოშვების შესახებ.

ლენინურ - სტალინურ კომკავშირის 25 წლისთავისათვის საბჭოთა კინემატოგრაფია ამზადებს ორ მხატვრულ ფილმს — „ჩვენ ურალიდან ვართ“, „მარტი—აპრილი“ და ერთ დოკუმენტალურ ფილმს — „კომკავშირელები“.

ფილმს „ჩვენ ურალიდან ვართ“ იღებს რეჟისორი ლ. კულეშოვი ე. პომეშჩიკოვისა და ნ. როგოკოვის სცენარით „სოიუზდეტფილმის“ კინოსტუდიაში.

ფილმს „მარტი—აპრილი“ სდგამს რეჟისორი ვ. პრონინი, აგრეთვე „სოიუზდეტფილმის“ კინოსტუდიაში. სცენარი ეკუთვნის ვ. კოუვნიკოვსა და ნ. როგოკოვს. ფილმის მთავარი პერსონაჟებია დიდი სამამულო ომის მონაწილენი ლუბა მიხაილოვა (მსახიობი ს. ლანსკაია) და ვალია ვესელოვა (მსახიობი ი. ეფიმი). კაპიტან ყავორონკოვის როლს თამაშობს მსახიობი ო. ეკიკი, ოპერატორია ი. ბარამიკოვი, კომპოზიტორი—ა. ლებინი.

დოკუმენტალურ ფილმს „კომკავშირელები“ ამზადებენ კინოკრონიკის სტუდიის რეჟისორები ს. გუროვი და ლ. სტეპანოვა. ფილმი გვიჩვენებს კომკავშირის მონაწილეობას სამოქალაქო ომში, სოციალისტურ მშენებლობაში, გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლებში, მშობლიური ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეში. განსაკუთრებით ფართოდ იქნება ნაჩვენები ახალგაზრდობის მონაწილეობა სტალინგრადის აღდგენის საქმეში. კინოკრონიკის ცენტრალური სტუდია უშვებს აგრეთვე კინოჟურნალების „პიონერიას“ და „სოვეტსკე ისკუსტვოს“ სპეციალურ ნომრებს, მიძღვნილს კომკავშირის 25 წლისთავისადმი.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

თბილისის—მესამე საბელოსნო სასწავლებლის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. შ. გვინჩია) მესამე კვარტალში მაღალ წარმატებას მიაღწია სწავლასა და შრომაში. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მან მესამე ადგილი მოიპოვა. სასწავლებლის კოლექტივმა მესამე კვარტალის გეგმა სპეციალურ ნაწილებში 123,7 პროცენტით შეასრულა. ამავე დროს 562 მოსწავლიდან ფრიადი და კარგი შეფასება მიიღო 413 კაცმა. სასწავლებელს არა ჰყავს არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე.

განსაკუთრებით დაწინაურდა მეექვსეტა ჯგუფი, რომელსაც ოსტატი ა. გეგეჭკორი ხელმძღვანელობს. მან მესამე კვარტალის გეგმა 201,3 პროცენტით შეასრულა, ოსტატ მ. ბიგარეიის ზეინკლების ჯგუფმა კვარტალის დავალება 165,5 პროცენტით გაანაღდა. ასევე წარმატებით მუშაობს ოსტატ ა. ვოლოშინას ზეინკლების ჯგუფი, რომელიც ფრონტული შუშაობის მაგალითებს იძლევა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ გამარჯვებასთან დაკავშირებით ამ დღეებში სასწავლებლის კოლექტივმა სსრკ შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. მოსკატოვისა და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მიხაილოვისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „მხურვალედ ვულოცავთ მოსწავლეებსა და მუშაკებს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით მესამე ჯილდოს მიღებას. გამოვთქვამთ რწმენას, რომ კომკავშირის XXV წლის იუბილეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს კოლექტივი აღნიშნავს ახალი წარმატებებით სწავლასა და შრომაში, იბრძოლებს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის და ამით ყოველმხრივ დაეხმარება ჩვენს სახელოვან წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებასა და ჩვენი წმიდათა-წმიდა მიწა-წყლიდან მათს განდევნაში“.

მისალმების დეპეშამ სასწავლებლის კოლექტივში ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია.

Ა. ᲨᲔᲚᲔᲞᲘᲜᲘ

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ლენინურ-სტალინურ კომკავშირსა და მთელ ჩვენს ახალგაზრდა თაობას თვალსაჩინო როლი ეკუთვნის. ლენინ-სტალინის პარტიის ბრძანებისა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულ. სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა აღსდგა საძულველი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, თავისი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, თავისი მშვენიერი მომავლისათვის საბრძოველად. გერმანელი ფაშიზმი საბჭოთა ახალგაზრდობის მოსისხლე მტერია, და მისი მოსპობა ჩვენი თაობის ისტორიულ მისიას წარმოადგენს.

იმ წამსვე, როგორც კი ჩვენს ქვეყანაზე მიადგა ამბავი ფაშისტ ავაზაკთა ურდოებისა ერგულ თავდასხმის შესახებ, კომკავშირის კომიტეტებსა და სამხედრო კომისარიატებში ასეულ ათასობით შემოვიდა განცხადებები წითელი არმიის რიგებში ნებაყოფლობით შესვლის შესახებ. ისევე, როგორც სამოქალაქო ომის წლებში. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ისწრაფოდა მთელი შემადგენლობით წასულიყო ფრონტის მოწინავე ხაზზე. რამდენიმე ასეული ათასი ახალგაზრდა ტერიტორიტ გაგზავნილ იქნა მოქმედ არმიაში. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების მობილიზაციით და რათა ეს შეადგინეს მრავალი ქვეგანყოფილება და ნაწილის ძირითადი ბირთვი.

ზურგში დარჩენილმა ახალგაზრდობამ მთელი თავისი ენერგიებები წარმართა იქითკენ, ... ომრწმენობამ ოა სოფლის მეურნეობაში შეუფერხებლად იმუშაოს. ჭიბუკები და ... ...

დედაქალაქის თეატრალური ცხოვრება

თეატრალური ცხოვრება დედაქალაქში მძლავრად სჩქეფს. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან კვლავ ჩამოვიდნენ მოსკოვის თეატრები, რომელნიც თავის დროზე მთავრობის გადაწყვეტილებით ევაკუირებულ იქნენ ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. ისინი დაბრუნდნენ მკაფიო შთაბეჭდილებებით გამდიდრებულნი, მათთვის ახალ მაყურებელთან ურთიერთობით შემოქმედებისათვის განაყოფიერებულნი. მოსკოვის თეატრებმა, უჩვენეს რა ადგილებზე წარსული სეზონების ყველა თავიანთი საუკეთესო დადგმა, მოამზადეს იქ საერთო რიცხვით 30-ზე მეტი ახალი სრულფასოვანი წარმოდგენა, რომელთაც ამჟამად მოსკოველებს აცნობენ. არც ერთ თეატრს ომის წლების განმავლობაში არ შემოუფანტავს თავისი კადრები.

ამ უკანასკნელი დღეების ყველაზე შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის დიდი თეატრის წარმოდგენების განახლება. მაყურებელთა დარბაზში ყველაფერი ბრწყინავს ახალი ვარაყით. თვალისმომჭრელად ანათებს ძვირფასი ჭაღის და მოოქრული კედლის შანდლების ათასობით შუქი. საკარძლებზე, ლოჟების მოაჯირებზე ხელახლა გადაუკრავთ წითელი ხავერდი. რესტავრირებულია მაყურებელთა დარბაზის პლაფონის შესანიშნავი მოხატულობა.

ტრადიციის მიხედვით, დიდმა თეატრმა სეზონი გახსნა „ივან სუსანინით". სპექტაკლმა მეტად დიდი ზეიმით ჩაიარა და უკვდავი რუსული საოპერო კულტურის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო. ამის შემდეგ წარმატებით ჩატარდა „თოვლია", „იოლანტა", ბალეტები „ვედების ტბა", „შელკუნჩიკი". თეატრის შემოქმედებითი გეგმები არაჩვეულებრივად ფართო და მრავალნაირია. უკვე დაიწყო მუშაობა ს. პროკოფიევის ოპერაზე „1812 წელი", რომელიც დაწერილია ტოლსტოის რომან „ომისა და მშვიდობის" სიუჟეტის მიხედვით. თეატრის სარეპერტუარო პორტფელშია ი. შაპორინის ოპერა „დეკაბრისტები" და „ბორის გოდუნოვი", რომლისადმი ინტერესს აძლიერებს კომპოზიტორ დ. შოსტაკოვიჩის ახალი დაინსტრუმენტება.

სისხლსავსედ, განზომილად სცემს დიდი თეატრის ფილიალის შემოქმედებითი ცხოვრების მაჯა, ცხოვრებისა, რომელიც, უნდა ითქვას, ერთი დღითაც არ შეწყვეტილა მოსკოვში ომის მთელი დროის განმავლობაში.

აქ რეპერტუარს შეადგენს „დემონი", „პიკის ქალი", „ტრავიატა", „ივან სუსანინი", „ამაო სიფრთხილე" და სხვ. რიგშია დ. კაბალევსკის ოპერის „მოსკოვთან" ახალი დადგმის ჩვენება.

მოსკოვის დრამატიული თეატრების რეპერტუარი პირველ რიგში სდგება საბჭოთა პიესებისაგან, რომელნიც ასახავენ დიდი სამამულო ომის ჰეროიკას, საბჭოთა ადამიანის პატრიოტიზმს, სიმტკიცეს, კეთილშობილებასა და მორალურ სიწმინდეს. ამ მხრივ პირველ რიგში დგას ისეთი პიესები, როგორიცაა კორნეიჩუკის „ფრონტი", რომელიც მიდის მოსკოვის შვიდ თეატრში, სიმონოვის „რუსი ადამიანები" და ლეონოვის „შემოსევა", რომლებსაც ოთხი თეატრი სდგამს.

ყველაზე გვიან, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად „რუსი ადამიანები" დასდგა მოსკოვის სამხატვრო აკადემიურმა თეატრმა. როგორც ყოველთვის, უდიდესი დამაჯერებლობით, სიმართლით და გულის სიღრმეში ჩაწვდომით ამ თეატრის კოლექტივმა შეჰქმნა ნათელი, ამაღელვებელი პატრიოტული სპექტაკლი. სცენაზე გაცოცხლდნენ სახეები შინაგანი მომზიბლველობით სავსე უბრალო რუსი ადამიანებისა, რომელნიც ქედმოუდრეკელი არიან მტერზე გამარჯვებისადმი თავიანთი ნებისყოფითა და მისწრაფებით. ამ სპექტაკლით, რაც დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო, მოსკოვის სამხატვრო აკადემიურმა თეატრმა თითქოს მიიყვანა მაყურებელნი თავის 45 წლის იუბილესთან, რომელიც ამ თვის დამლეგს სრულდება. მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი იუბილეს დღეებისათვის განახლებს „თევდორე მეფეს", სადაც ითამაშებს მოსკვინი,—ამ პიესის მთავარი როლის პირველი შემსრულებელი. ამჟამად მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი ამზადებს ოსტროვსკის პიესას „უკანასკნელი მსხვერპლი", თეატრმა გააძლიერა „ჰამლეტის" რეპეტიციები. „ჰამლეტში" ითამაშებენ: ჰამლეტს—ლევანოვი, დედოფალს — ელანსკაია, მეფეს—ბოლდუმანი და ოფელიას—ახალგაზრდა მსახიობი გოშევა. დაიწყო მუშაობა ა. ტოლსტოის ახალ პიესაზე ივანე მრისხანის შესახებ, რომლის მთავარ როლს შეასრულებს ნ. ხმელიოვი. მიმდინარეობს აგრეთვე რეპეტიციები ოსტროვსკის „ტყისა", რომელშიც ნესასტლივცევის როლს შეასრულებს ვ. კაჩალოვი, და პოეტ მარშაკის ახალი პიესისა „12 თვე". ამავე დროს თეატრი უცვლელი წარმატებით განაგრძობს თავისი ძველი სპექტაკლების ჩვენებას, რომლებმაც ფართო პოპულარობა მოიპოვეს: „ალუბლის ბაღი", „ფსკერზე", „ს